წერილის ნომერი: **74-742334282**
თარიღი: **08/12/2023**

**ადრესატი:** საქართველოს პარლამენტი

**ადრესატი:** საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

**ადრესატი:** საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

**ადრესატი:** საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ შალვა პაპუაშვილს

საქართველოს პრეზიდენტს ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ს თავმჯდომარეს

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 49-ე მუხლის თანახმად წარმოგიდგენთ ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ. კერძოდ:

2023 წლის 01 იანვრიდან დღემდე ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 91 წერილი და განცხადება. წერილები შემოსულია სახელმწიფო უწყებებიდან, სხვადასხვა არასამთავრებო ორგანიზაციებიდა, კერძო პირებიდან my.gov.ge ელექტრონული პორტალის, MSDA ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის მეშვეობით, ხელზე მოტანით;

საჯარო ინფორმაციის შესწორების თაობაზე განცხადება არ არის შემოსული;

საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე შემოსული თითქმის ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" მე-40 მუხლით გათვალისწინებულ ვადებში განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი შესაბამისი ინფორმაციის გაცემით. ვადის დარღვევით ინფორმაციის გაცემა გამოწვეულია მოთხოვნილი ინფორმაციის დიდი მოცულობით, რაც მოითხოვს დიდი ოდენობის დროსა და ადამიანურ რესურსებს;

საჯარო ინფორმაცის დროულ მომზადება-მიწოდებაზე პასუხისმგებლობა ფუნქციურად ეკისრება ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსს ლია ოქონაშვილს (ტელ. ნომერი 595 90 77 18; ელ. ფოსტა lia.okonashvili@tkibuli.gov.ge).

სრულ ინფორმაციას 2023 წელს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული საჯრო იმფორმაციის თაობაზე წარმოგიდგენთ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 იანვრის N 7 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო ინფორმაციის გაცემის წლიური ანგარიშის ფორმის" სახით

**საჯარო ინფორმაციის გაცემის წლიური ანგარიშის ფორმა**

ა. მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესახებ

| საჯარო ინფორმაციის გაცემის | დაკმაყოფილებულ მოთხოვნათა | გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე |
|---|---|---|

| მოთხოვნათა საერთო რაოდენობა | რაოდენობა | (სახელი, გვარი, თანამდებობა) |
|---|---|---|
| 91 (წერილი) | 91 | მუნიციპალიტეტის მერი - დავით ჩერქეზიშვილი |

ბ. მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების არ დაკმაყოფილების შესახებ

| არ დაკმაყოფილებული მოთხოვნების რაოდენობა | უარის თქმის საფუძვლები (შესაბამისი საკანონმდებლო აქტები) | გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა) | გასაჩივრებას თან დაკავშირებული ხარჯები | მომჩივანი მხარის სასარგებლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის ოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 0 | | | 0 | 0 |

გ. სტატისტიკური მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესახებ

| შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები კატეგორიების მიხედვით | საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნათა საერთო რაოდენობა | დაკმაყოფილებულ მოთხოვნათა რაოდენობა | არ დაკმაყოფილებულ მოთხოვნათა რაოდენობა | ასლის მოსაკრებლის ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯების ჯამი |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

დ. მონაცემები საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ

| საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობა | გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა) |
|---|---|
| - | - |

ე. მონაცემები კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ

| კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რაოდენობა | სხდომის დახურვის საფუძველი - შესაბამისი საკანონმდებლო აქტები | გასჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები | მომჩივანი მხარის სასარგებლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებული გადასახდელი თანხის ოდენობა |
|---|---|---|---|
| - | - | - | - |

ვ. მონაცემები საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ

| საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობა | დარღვევებზე პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების რაოდენობა |
|---|---|
| - | - |

დამატებით გაცნობებთ, რომ ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია მონაცემთა ბაზები:

1. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებისა და პასუხების ბაზა;

2. მერიაში დანიშნულ და განთავისუფლებულ პირებზე მონაცემთა ბაზა;

3. ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბენეფიციართა პერსონალურ მონაცემთა ბაზა;

4. იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან დასუფთავების მოსაკრებლებთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებების მონაცემთა ბაზა;

5. ყოველწლიურ მონაცემთა ბაზები სოციალური პროგრამების მიხედვით.

პატივისცემით,

დავით ჩერქეზიშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, 4300, ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ, ᲙᲐᲠᲚᲝ ᲚᲝᲛᲐᲫᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ N3, ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 0(497)22 20 20; ᲔᲚ.ᲤᲝᲡᲢᲐ: CONTACTTKIBULI@TKIBULI.GOV.GE; ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: WWW.TKIBULI.GOV.GE

GEORGIA, 4300, TKIBULI, KARLO LOMADZE SQ N3, TELEPHONE: 0(497)22 20 20; E-MAIL: CONTACTTKIBULI@TKBULI.GOV.GE; WEBSITE: WWW.TKIBULI.GOV.GE